

სამხრეთ კავკასიის მე-14 მედია კონფერენცია

„ყალბი ინფორმაცია“, დეზინფორმაცია და მედიის თავისუფლება

10-11 მაისი, 2017, თბილისი, საქართველო

დასკვნები

წინამდებარე დოკუმენტში შეჯამებულია სომხეთიდან, აზერბაიჯანისა და საქართველოდან 80-ზე მეტი ჟურნალისტის, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის, აგრეთვე საერთაშორისო ექსპერტების, ლიტვისა და რუსეთის ფედერაციიდან მონაწილეების შეფასებები და რეკომენდაციები, რომლებიც განხილული იქნა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისის მიერ ორგანიზებულ სამხრეთ კავკასიის ყოველწლიურ მე-14 მედია კონფერენციაზე 2017 წლის 10-11 მაისს თბილისში, საქართველო.

კონფერენცია დაეთმო რეგიონში თავისუფალი მედიისა და გამოხატვის თავისუფლების გამოწვევებსა და ეუთოს მასშტაბით არსებულ საუკეთესო გამოცდილებას, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიონალიზმისა და მედიის თავისუფლების გაუმჯობესებას „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელების, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კონტექსტში.

კონფერენციის მონაწილეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მოსაზრებებისა და ინფორმაციის წყაროების ფართო სპექტრის თავისუფალ ხელმისაწვდომობას, მათი გავრცელების შესაძლებლობებს, მრავალფეროვან მედია გარემოს, საჯარო დებატებისა და მოსაზრებების თავისუფალი გაცვლის ხელშეწყობისა და ხელისუფლების დარაჯის როლის გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებისა და თავისუფალი მედიისათვის სამხრეთ კავკასიაში.
2. დღეს ჟურნალისტიკა სამხრეთ კავკასიაში მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომლებიც უკავშირდება დეზინფორმაციის (რაც ზოგჯერ „ცრუ“ ან „ყალბი“ ინფორმაციის სახით მოიხსენიება) გავრცელების მზარდ ტენდენციასა და პროპაგანდას ტრადიციულ და სოციალურ მედიაში, რასაც ხელს უწყობენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.
3. დეზინფორმაცია და პროპაგანდა, როგორც წესი, მიზნად ისახავს და ხორციელდება იმ თვალსაზრისით, რომ არასწორი წარმოდგენა შექმნას და ხელყოს საზოგადოების უფლება, მიიღოს ინფორმაცია, აგრეთვე ადამიანის უფლებები, რომ, საზღვრების მიუხედავად, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები, რომლებსაც ითვალისწინებს ეუთოს ვალდებულებები და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები.
4. ადამიანის უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები, არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ განცხადებებით, რომლებიც, ხელისუფლების აზრით, „მართებულია“. ეს უფლება ასევე ვრცელდება იმ ინფორმაციასა და

მოსაზრებებზე, რომლებიც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემამფოთებელი.

5. თუმცა, ზემოაღნიშნული დებულება არ ამართლებს მოხელის ან სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ ცრუ განცხადებების გავრცელებას განზრახ ან დაუდევრობით.
6. სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყონ მედიის თავისუფლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რაც მოიცავს მრავალფეროვანი მედიის პოპულარიზაციასა და დაცვას, განსაკუთრებით, ტრადიციულ მედიაზე ეკონომიკური და სხვა სახის მზარდი ზეწოლისაგან.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი:

7. სახელმწიფოებს შეუძლიათ მედიის თავისუფლების უფლებაზე შეზღუდვების დაწესება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. კერძოდ, ისინი გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ემსახურებოდეს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ კანონიერ საზოგადოებრივ ინტერესებს, აუცილებელი და პროპორციული იყოს ასეთი ინტერესების დასაცავად. შეზღუდვების დაწესება აგრეთვე შესაძლებელია, თუ ისინი შეესაბამება ამ მოთხოვნებს, რათა აიკრძალოს სიძულვილის ადვოკატირება, რომელიც გულისხმობს დისკრიმინაციისაკენ, მუდლისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებას.
8. ინფორმაციის გავრცელების ზოგადი აკრძალვები, რომლებიც ეფუძნება ბუნდოვან და ორაზროვან მოსაზრებებს, მათ შორის „ყალბ“ ან „არაობიექტურ“ ინფორმაციას, ეწინააღმდეგება ეუთოს ვალდებულებებსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს მედიის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და არ უნდა იქნეს გამოყენებული.
9. სახელმწიფოს მხრიდან მთლიანად საიტების, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართების ან ქსელური პროტოკოლების დაბლოკვა უკიდურესი ზომია, რომელიც შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა ან კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ასეთი ზომები უნდა იყოს პროპორციული და გამოყენებული იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაკლებად ინტრუზიული ალტერნატიული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას, ჯეროვანი პროცესის გარანტიების პატივისცემის გზით.
10. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა არ უნდა გააკეთონ, დააფინანსონ, წახალისონ ან გაავრცელონ ისეთი განცხადებები, რომლებიც, მათ იციან ან გონივრულად უნდა იცოდნენ, რომ არის დეზინფორმაცია ან პროპაგანდა. მათ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, თავიანთი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებისა და საჯარო მოვალეობების შესაბამისად, რათა უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ისინი ავრცელებენ, არის საიმედო და სანდო.
11. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ძლიერი, დამოუკიდებელი და სათანადო რესურსებით აღჭურვილი საზოგადოებრივი მედიის ფუნქციონირება, რომელსაც

- აქვს მკაფიო მანდატი, ემსახუროს საერთო საზოგადოებრივ ინტერესს, დაადგინოს და შეინარჩუნოს ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტები სამხრეთ კავკასიაში.
12. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სხვა ზომები მედიის მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით.
 13. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მედიისა და ციფრული წიგნიერების პოპულარიზაციისთვის, მათ შორის ამ საკითხების რეგულარულ სასკოლო გეგმაში ასახვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით აღნიშნული საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
 14. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სხვა ზომები თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, კულტურათაშორისი ურთიერთობებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების წახალისების, მათ შორის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის უარყოფითი შედეგების შეზღუდვის მიზნით.
 15. მედია და ჟურნალისტები, საჭიროებისამებრ, მხარს უჭერენ თვითრეგულირების ეფექტიან სისტემებს, იქნება ეს კონკრეტული მედია სექტორების (როგორცაა პრესასთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი ორგანოები) თუ ინდივიდუალური მედია საშუალებების (ომბუდსმენი) დონეზე, რომლებიც მოიცავს სტანდარტებს საინფორმაციო საშუალებებში სიზუსტის უზრუნველსაყოფად და ითვალისწინებს გამოსწორების და/ან პასუხის გაცემის შესაძლებლობას მედიაში გაკეთებულ არასწორ განცხადებაზე რეაგირების მიზნით.
 16. მედია საშუალებებმა უნდა განიხილონ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კრიტიკული გაშუქება თავიანთი მომსახურების შემადგენელ ნაწილად, მათი, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის, როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებით კონფლიქტის, არჩევნების და საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხებზე დებატების დროს.
 17. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისმა ხელი უნდა შეუწყოს მონაწილეობითი და გამჭვირვალე ინიციატივების განვითარებას დემოკრატიის, მედიის თავისუფლების, ჟურნალისტიკისა და სამოქალაქო სივრცეზე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავლენის უკეთ გაცნობიერების, ისევე როგორც ამ ფენომენზე შესაბამისი რეაგირების მიზნით სამხრეთ კავკასიაში.